ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №30

2019 წლის 7 ოქტომბერი

ქ. ბოლნისი

„ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისთვის სამართალდარღვევის ოქმის გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 თებერვლის №11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4, მე-6, მე-7, მე-8 პუნქტების საფუძველზე, ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს**:

მუხლი 1

„ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისთვის სამართალდარღვევის ოქმის გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 თებერვლის №11 დადგენილებით (www.matsne.gov.ge, 18/02/2015, 010250020.35.158.016219) დამტკიცებულ წესში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საჯარო მოსამსახურე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 51^3, 53^3, 55-ე, 55^2, 55^3, 77^1, 77^2, 82^5 (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების რეალიზაციის ნაწილში), 150, 150^1, 151-ე ,152-ე, 152^2, 153^4, 159^1 მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა გამოვლენის მიზნით, უფლებამოსილია განახორციელოს შემოწმება.

2. საჯარო მოსამსახურე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ავსებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 51^3, 53^3, 55-ე, 55^2, 55^3, 77^1, 77^2, 82^5 (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების რეალიზაციის ნაწილში), 150, 150^1, 151-ე,152-ე, 152^2, 153^4, 159^1 მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევაში.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **თამაზ ჟორჟოლიანი**